ევროკავშირის ,,ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის“ (SMGP) ინიციატივის წარდგენა საქართველოში

კონტექსტი

გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციას (UNIDO) საქართველოში შემოაქვს ევროკავშირის ,,ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის'' SMGP) ინიციატივა, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის ,,ევროკავშირი გარემოსთვის'' ფარგლებში. პროგრამის მიზანია მწვანე და ცირკულარული ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერა საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებში ასევე, მნიშვნელოვანი ინფორმაციის უზრუნველყოფა SMGP-სა და PEF-ის (პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალი) მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. ეს საინფორმაციო ფურცელი სწორედ, PEF მეთოდოლოგიისადმი მიძღვნილი რესურსების ნაწილია, და შეიქმნა საქართველოში ეკო-მეგობრული პრაქტიკის ხელშეწყობის მიზნით.

01 რას ნიშნავს ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის (SMGP)?

ქართული კომპანიები, რომელთაც სურთ საკუთარი პროდუქცია გაყიდონ, როგორც ეკო-მეგობრული პროდუქცია, გარემოსდაცვითი საქმიანობის ეფექტურობის გაზომვასა და შედარებისას, ხშირად აწყდებიან სირთულეებს, რადგან არ არსებობს მეთოდოლოგიისა და პროცედურების ერთიანი სისტემა. 2013-2018 წლებში, ევროკავშირში გარემოსდაცვით საკითხებზე კომუნიკაციისათვის სამართლიანი და თანასწორუფლებიანი გარემოს დამკვიდრების მიზნით, ევროკომისიამ შემოიღო ინიციატივა ,,ერთი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის'. ამ ინიციატივის ფარგლებში, 280-ზე მეტმა მოხალისე კომპანიამ და ორგანიზაციამ მიიღო ინფორმაცია თუ რა მოთხოვნების დაკმაყოფილებაა საჭირო გარემოსდაცვითი კვალის, კერძოდ, ,,პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის'' (PEF) ან ,,ორგანიზაციის გარემოსდაცვითი კვალის'' (OEF) გამოსათვლელად.

PEF მეთოდოლოგია არის საქონლის ან სერვისის გარემოსდაცვითი ეფექტიანობის მრავალკრიტერიუმიანი შეფასება საქონლის/სერვისის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

PEF ინფორმაცია იქმნება საქონლისა და სერვისების გარემოსდაცვითი ზემოქმედების შემცირების ან მის შესახებ ცოდნის გავრცელების მიზნით. ეს მოიცავს გარემოზე ზემოქმედების ეფექტს მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში (ნედლეულის ამოღება, პროდუქციის წარმოება და მოხმარება და საბოლოო განადგურება).

მოკლედ რომ ავხსნათ, PEF არის ევროკავშირის მიერ რეკომენდებული მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია ,,სასიცოცხლო ციკლის შეფასებაზე'' (LCA), რათა შესაძლებელი იყოს პროდუქტის ან სერვისის გარემოსდაცვითი ზემოქმედების რაოდენობრივ მაჩვენებლებში გადაყვანა.

PEF მეთოდი არის ერთგვარი ინსტრუმენტი ,,სასიცოცხლო ციკლის შეფასების'' განსახორციელებლად. თუმცა იგი დამატებით უზრუნველყოფს უფრო თანმიმდევრული, სანდო და კვლავწარმოებადი შედეგების მიღებას. ამ მიზნებისათვის, PEF მეთოდოლოგია ითვალისწინებს კონკრეტულ წესებს, რომელიც ამცირებს თავისუფალი ინტერპრეტაციის სივრცეს და აყენებს მკაცრ მოთხოვნებს მონაცემთა ხარისხისა და ვერიფიკაციისათვის.

02 რამდენად არის მზად საქართველო, რომ წვდომა ჰქონდეს SMGP-ზე?

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს ასოცირების შეთანხმების[1] ხელმოწერის შემდეგ, ქვეყანამ აიღო ვალდებულება, რომ მისი ეროვნული ღირებულებები ევროკავშირის ღირებულებებისათვის დაეახლოვებინა საერთაშორისო მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის შემუშავების გზით. აქედან გამომდინარე, გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილების შედეგების შესარბილებლად ევროკავშირის სტანდარტების დამკვიდრებისა და ნარჩენებისა თუ ემისიების შემცირების პრიორიტეტიზაცია არსებითად მნიშვნელოვანია საქართველოში მწვანე და ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობისათვის.

გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-19[2] მუხლში გათვალისწინებული იყო ეკოეტიკეტირების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მარკირებას, თუმცა 2011 წელს მთავრობის რესტრუქტურიზაციის შედეგად ეს მუხლი გაუქმდა. მიუხედავად იმისა, რომ ეკოეტიკეტირების პასუხისმგებლობა რომელიმე კონკრეტულ სამინისტროს არ ეკისრებოდა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ,,გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი'' კვლავაც აგრძელებს ეკოეტიკეტირების სისტემებისა და ეკოლოგიური სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობას. 2019 წელს, სამინისტრომ დაამტკიცა ახალი რეგულაცია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხარისხის ნიშნებთან დაკავშირებით.[3]

დღესდღეობით, სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის დადგენილება N198 ,,ბიოწარმოების შესახებ''.[4] ამ დადგენილების თანახმად, შესაბამისობის სერტიფიკატს გასცემს მხოლოდ ეროვნული ან საერთაშორისო აკრედიტაციის ორგანოს მიერ აკრედიტებული სერტიფიცირების ორგანო. საქართველოში ამ ფუნქციას ასრულებს ,,აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი'' - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში.

ეკო-მეგობრული ან მწვანე პროდუქტების წახალისების სფეროში, საქართველოში დაინტერესებული მხარეების ეკოსისტემა მოიცავს სახელმწიფო უწყებებს, ექსპერტულ ინსტიტუტებს, ექსპორტზე-ორიენტირებულ მწარმოებლებს და ეროვნულ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს. მიუხედავად ამისა, დაინტერესებული მხარეების საზოგადოებრივი ჯგუფების შექმნა უნდა ეფუძნებოდეს ინსტიტუციურ რეგულაციებსა და კლასტერისშიდა თანამშრომლობის პირობებში განხორციელებულ ინვესტიციებს. იქიდან გამომდინარე რომ ექსპორტზე-

ორიენტირებული პროდუქტების პოპულარიზაცია დინამიური სამუშაოა, პროცესში ჩართული ინსტიტუციური სუბიექტები უნდა მუშაობდნენ ექსპორტზე-ორიენტირებული კომპანიების გაძლიერებაზე საჯარო-კერძო დიალოგისა და შესაძლებლობების გაძლიერების მეშვეობით. ამ თვალსაზრისით, PEF მეთოდების დანერგვა ქართველ მწარმოებლებში ხელს შეუწყობს ექსპორტის შესაძლებლობების გაზრდას და ადგილობრივ მწარმოებლებს საშუალებას მისცემს, გახდნენ კონკურენტუნარიანები ეკო-მეგობრულიეკო-მეგობრული პროდუქტების მზარდ ბაზარზე.

03 რას ნიშნავს PEF ქართული კომპანიებისათვის?

PEF მეთოდოლოგია კომპანიებს საშუალებას აძლევს გააუმჯობესონ მიწოდების ჯაჭვის მდგრადობა. PEF კვლევა ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ყველაზე დიდი ზემოქმედების მქონე ინგრედიენტებზე, გადამუშავების ან პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ეტაპებზე. აქედან გამომდინარე, გარემოზე ნეგატიური გავლენის შესამცირებლად, (მაგ. დიზაინის შეცვლით, რესურსების გადამუშავებით ან ქვე-პროდუქციისთვის ახალი დანიშნულების შეძენით) იგი არის საუკეთესო საწყისი წერტილიპროდუქციისთვის.

გარდა მონაცემთა ბაზებისა, ზემოქმედების ინდიკატორებისა და გამოთვლის წესების შეთავაზებისა, ,,პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის კატეგორიის წესები'' (PEFCRs) ასევე განსაზღვრავს ზოგად წესებს პროდუქტთა ჯგუფებისათვის, რათა კომპანიებს შეეძლოთ პროდუქციის კონკრეტული კატეგორიაში საკუთარი პროგრესის შეფასება. თავის მხრივ, საწარმოები შეძლებენ 'ბენჩმარკინგის' გზით უკეთ გააცნობიერონ მათი საქმიანობის ეფექტურობა გარემოსდაცვითი კუთხით და შეადარონ იგი კონკურენტების (ქართველი თუ ევროპელი) ეფექტურობას.

'ბენჩმარკინგი' ასევე ძლიერი წამახალისებელი ფაქტორია რეპუტაციის მოსაპოვებლად და მდგრადი, ეკო-მეგობრული პროდუქციისა და სერვისების შესაქმნელად, რომელსაც მომხმარებლები ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალიან აფასებენ. აქედან გამომდინარე, გარემოზე მზრუნველი მწარმოებლის რეპუტაცია, მნიშვნელოვანი დამატებითი სარგებლის მომტანია, რომელსაც შეუძლია წარმატებული პერსპექტივა და გამართული სტრატეგია უზრუნველყოს ბიზნესისათვის, განსაკუთრებით ისეთ დინამიურ და კონკურენტულ ბაზარზე როგორიც ევროკავშირის ბაზარია.

მომხმარებელთა მხრიდან შესყიდვისას ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება ევროკავშირში და მთელს მსოფლიოში უკვე საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა. მსგავსი პროდუქტებისა და სერვისების მწარმოებლების საქმიანობის შედარების გზით, მომხმარებლები შეძლებენ მიენდონ ახალ ბრენდებს და მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები.

04 რა სარგებელი აქვს გარემო-მეგობრულ პროდუქტებს?

მწარმოებლები შეიძლება გამოირჩეოდნენ კონკურენტებისაგან გარემომეგობრული პროდუქტების შეთავაზებით, რომლებიც იძლევიან სანდო ინფორმაციას გარემოსდაცვითი მნიშვნელობის კუთხით. პროდუქციისა და სერვისებს პასუხისმგებლიანი მიდგომით წარმოებით და მიწოდებით, სერვისის მომწოდებლები იძენენ მომხმარებელთა აღიარებას და უფასდებათ მდგრადობის მიმართ აღებული ვალდებულება. აღნიშნული, თავის მხრივ, განაპირობებს თანამშრომელთა ძლიერ მიჯაჭვულობას გარემოს მიმართ ასეთი გულისხმიერი მიდგომის გამო. ამასთან, ეკო-მეგობრული პროდუქციის შეთავაზებას ეკონომიკური სარგებელიც მოაქვს, უფრო ეფექტიანი, ოპტიმიზირებული პროცესებისა და კარგად დაგეგმილი მდგრადობის ინიციატივების წყალობით.

მწარმოებლებიც იღებენ სარგებელს გარემო-მეგობრული პროდუქციის წარმოებით, რადგან იზრდება მათი გაყიდვები, რამდენადაც მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ და აფასებენ პროდუქციის მდგრადობას. ეს ნიშნავს, რომ ამგვარი პროდუქციის შემთავაზებელი მწარმოებლები იზიდავენ უფრო მეტ გარემოზე-მზრუნველ მომხმარებელს. გარდა ამისა, ეკო-მეგობრული პროდუქტების ხელმისაწვდომობის შედეგად იზრდება მომხმარებლის ლოიალურობა, რადგან უფრო დიდია ალბათობა, რომ ისინი დაუბრუნდებიან იმ კომპანიას, რომელიც მათ ღირებულებებსა და რწმენას ყველაზე მეტად შეესაბამება. გარემო-მეგობრულ პროდუქტებს უამრავი სარგებელი მოაქვს საზოგადოებისათვის, რადგან გაუმჯობესებული პროცესები უზრუნველყოფს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას (მცირდება ნარჩენები და იზრდება გადამუშავება). გარემოს მიმართ პასუხისმგებლიანი საქმიანობების ხელშეწყობით, ამგვარი პროდუქტები ზრდის ცნობიერებას მდგრადობის მნიშვნელობის შესახებ. გარდა ამისა, ეტიკეტზე მდგრადობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით, სერვისის მომწოდებლები ეხმარებიან მომხმარებელს ეს ინფორმაცია უფრო მარტივად და ხარჯეფექტური გზით მოიპოვონ და წაახალისებენ მათ გარემოს მიმართ პასუხისმგებლიანი შესყიდვების შესახებ მიიღონ გადაწყვეტილება შემდგომშიც. საბოლოო ჯამში, ეკო-მეგობრული პროდუქტების მოხმარება საზოგადოებისათვის უფრო მდგრად მომავალს უზრუნველყოფს.

05 რას აკეთებს ,,ევროკავშირი გარემოსთვის'' PEF მეთოდოლოგიის მხარდასაჭერად?

დღესდღეობით, აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, PEF მეთოდოლოგიის გავრცელებას UNIDO უზრუნველყოფს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის ,,ევროკავშირი გარემოსთვის'' საშუალებით. აღნიშნული, სხვა ღონისძიებებთან ერთად მოიცავს შემდეგ გეგმიურ სამუშაოებს: PEF მეთოდოლოგიის დანერგვის პრაქტიკებისა და ბარიერების აღრიცხვა; აღნიშნულის შედარება ეტიკეტირების ხელმისაწვდომ სქემებთან; ცნობიერების ამაღლება SMGP ინიციატივის შესაძლებლობებისა და სარგებლის შესახებ PEF-ის საშუალებით; და PEF-ის მეთოდოლოგიის პილოტირება და სტიმულირება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შერჩეულ სფეროებში.

პროგრამა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებში გაზრდის ცნობიერებას PEF მეთოდოლოგიის პოტენციური სარგებლისა და გავლენის შესახებ; შექმნის ადგილობრივ შესაძლებლობებს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში; ადგილობრივ ინდუსტრიებს დაეხმარება, რომ მომზადებული დახვდნენ სამომავლო პოლიტიკის, დანერგვას რომელიც მოიცავს PEF მეთოდოლოგიას; და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო შესაძლებლობებს ადგილობრივი ექსპერტებისათვის უფრო მდგრადი წარმოების შესახებ, საპოლოტე კვლევებისა გამოყენებისა და კონკრეტული რეკომენდაციების მიცემის გზით. გარდა ამისა, UNIDO განახორციელებს ცნობიერებისა ამაღლებისა და შესაძლებლობების გაძლიერების აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს მწვანე პოლიტიკის უფრო ფართო მასშტაბურ მხარდაჭერას საქართველოში.

შენიშვნა:

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია UNIDO და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური რედაქტირების გარეშე. მასში გამოყენებული აღნიშვნები და მასალა არ გამოხატავს გაერთიანებული ერების ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) სამდივნოს მოსაზრებებს რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან რეგიონის, მისი უწყებების ან საზღვრების დელიმიტაციის, მისი ეკონომიკური სისტემისა თუ განვითარების დონის შესახებ. ისეთი დასახელებები, როგორიცაა ,,განვითარებული'', ,,ინდუსტრიული'' ან ,,განვითარებადი'' მოხსენიებულია სტატისტიკური მიზნით და აუცილებლად არ ასახავს, რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ან ტერიტორიის მიერ მიღწეულ განვითარების დონეს.კომპანიის და კომერციული პროდუქციის დასახელებების მოხსენიება არ გულისხმობს UNIDO-ს მიერ მათ რეკლამირებას. საინფორმაციო ფურცელში ასახული მოსაზრებები, ციფრები და გამოთვლები არის მხოლოდ და მხოლოდ მისი ავტორების პასუხისმგებლობა და არ უნდა იყოს მიჩნეული UNIDO-ს და მისი წევრი სახელმწიფოების მოსაზრებად.

© – 2023 – UNIDO. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირის მიერ შესაბამისი პირობებით.

საკონტაქტო ინფორმაცია
გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია
„ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის“(EU4Environment)
პროექტის მენეჯერი
ტატიანა ჩერნიავსკაია
ტელ.: +43 1 26 0 26 5520
E-mail: t.chernyavskaya@unido.org
ვებ-გვერდი: www.unido.org

[1] *წყარო: https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02)*

[2] *წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=6*

[3] *წყარო: https://mepa.gov.ge/Ge/Page/Standards*

[4] *წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2163899?publication=0*